აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლების აღზრდის სტილის კავშირი მათი და-ძმის პრობლემურ ქცევასთან

გვანცა კუჭიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის ნაშრომში მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

სარჩევი

აბსტრაქტი.....4

შესავალი 6

ლიტერატურის მიმოხილვა.....9

აღზრდის სტილი.....9

პრობლემურიქცევა.....17

კვლევის მიზნები.....24

საკვლევი კითხვა.....24

ჰიპოთეზა.....24

მეთოდი.....25

ინსტრუმენტები.....25

პროცედურა.....28

შედეგები.....29

დისკუსია.....48

დასკვნა.....,,.....53

კვლევის ლიმიტები და სამომავლო რეკომენდაციები.....54

გამოყენებული ლიტერატურა.....55

დანართი.....57

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლების აღზრდის სტილის კავშირის შესწავალა მათი და-ძმის პრობლემურ ქცევასთან. საკვლევ ცვლადებს შორის კავშირის შესასწავლად გამოვიყენე ა. ვარგას და ვ. სტოლინის მშობლის და ბავშვის ურთიერთობის საკვლევი მეთოდი და CBCL პრობლემური ქცევის კითხვარი (მშობლის ვერსია) 1.5-5 წლამდე ასაკობრივი კატეგორიისთვის. კვლევა ჩატარდა თბილისში, კითხვარი შეივსო ონლაინ. კვლევაში მოანაწილეობდა 60 მშობელი. აქედან 56 იყო დედა და 4 მამა. ბავშვების შემთხვევაში 24 გოგო და 36 ბიჭი.

მიღებული შედეგების ანალიზისას გამოვლინდა შემდეგი თავისებურებები:

- აღზრდის სტილის, მიმღებლობა-უარყოფის სკალასა და პრობლემური ქცევის ჩაკეტილობის მაჩვენებელს შორის აღმოჩნდა დადებითი კორელაცია
- აღზრდის სტილის, მიმღებლობა-უარყოფის სკალასა და პრობლემური ქცევის, ემოციური რეაქტიულობის მაჩვენებელს შორის აღმოჩნდა დადებითი კავშირი
- არ დადასტურდა კავშირი თანამშრომლობით აღზრდის სტილსა და არცერთ პრობლემურ ქცევას შორის
- არ გამოვლინდა კავშირი სიმბიოზურ აღზრდის სტილსა და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების და-ძმის პრობლემურ ქცევებს შორის
- არ გამოვლინდა კორელაცია ავტორიტარულ აღზრდის სტილსა და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების და-ძმის პრობლემურ ქცევებს შორის
- არ აღმოჩნდა კავშირი აღზრდის სტილ „პატარა წარუმატებელსა“ და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების და-ძმის პრობლემურ ქცევებს შორის
- არ გამოვლინდა სქესთა შორის განსხვავება პრობლემური ქცევების შემთხვევაში.
- გამოვლინდა პრობლემური ქცევების ურთიერთკავშირი

Abstract

The aim in the present study is the association between the parenting style of children with autism and problematic behavior of their siblings. In order to find connection in study variables I used a child and parent relationship study method and CBCL problematic behavior questionnaire (parent version) for the age 1.5-5 by A. Warga and V. Stolyn.

The study was held in Tbilisi. The questionnaire was completed online. 60 parents were recruited. 56 of them were mothers and 4 fathers. As for kids there were 24 girls and 36 boys.

The study has showed the following peculiarities:

- There has been positive correlation among parenting style, accept- neglect scale and problematic behaviour indices.
- There has been positive connection among parenting style, accept- neglect scale and emotional reactivity indices of problematic behaviour.
- There has been no connection in cooperative parenting style and any problematic behaviour.
- There has been no connection between symbiotic parenting style and any problematic behaviour of sibling of children with autism
- There has been no correlation between authoritarian parenting style and problematic behaviour of siblings of children with autism.
- There has been no connection between parenting style ,,little failure" and problematic behaviour of siblings of children with autism.
- There has been no gender difference of problematic behaviour
- There has been interconnection in problematic behaviour.